განკარგულება:**g-31. 31262054**
თარიღი:**24/07/2026**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №42**

**2026 წლის 24 ივლისი**

**ქ. ლანჩხუთი**

**„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2026 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2026 წლის 16 ივლისის N1 შეთანხმების აქტი“ დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**შეთანხმება N1**

**„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**ქ. თბილისი** **16 ივლისი, 2026წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე სარიშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც მხარეები, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 10 ივლისის N 1476 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება““) მე-5 მუხლის 5.3. პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით და ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტის:**

**ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რეაბილიტაციასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა).“

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირების, ელექტროენერგიის მიწოდებისა და წყალმომარაგების მიზნით, ახალ აბონენტად რეგისტრაციასთან, ხოლო აბონენტებად უკვე რეგისტრირებული აღნიშნული დაწესებულებების შემთხვევაში, მითითებულ კომუნალურ მომსახურებებზე, სიმძლავრეების გაზრდის მიზნით დაკავშირებულები საჭიროებების უზრუნველყოფა, ასევე საწვავის, ბრიკეტისა და შეშის შესყიდვა.“

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლობაში არსებული ტერიტორიის/ეზოს კეთილმოწყობა, მათ შორის: ეზოების რეაბილიტაცია, ღობის მოწყობა,

დამხმარე შენობა-ნაგებობების განთავსება და სხვა შესაბამისი სამუშაოები, თანმდევი მომსახურებების ჩათვლით (პროექტირება, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა)“

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
3. ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებასა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას
4. შეთანხმებიდან გამომდინარე, ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 3 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

7. **მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები**

| | |
|---|---|
| საქართველოს რეგიონული<br>განვითარების სამინისტრო<br>ს/კ: 204755292 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი<br><br>ს/ნ: 233730139 |
| მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ<br>გორგასლის N10 | მისამართი: ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37 |
| **კახაბერ გულედანი** | **ალექსანდრე სარიშვილი** |